



თარგმანი მომზადებულია საინფორმაციო მიზნებისთვის. გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად აღვნიშნავთ, რომ კითხვები და პასუხების ოფიციალურ დოკუმენტს წარმოადგენს მხოლოდ ინგლისურ ენაზე არსებული ვერსია, რომელიც გამოქვეყნებულია ICMA-ს ვებგვერდზე

კითხვები და პასუხები

I მწვანე ობლიგაციები

1. არსებობს თუ არა მწვანე ობლიგაციის განმარტება?
2. არსებობს თუ არა ყველა გამოშვებული მწვანე ობლიგაციის ოფიციალური სია?
3. რა უპირატესობები გააჩნია მწვანე ბონდის ემისიას?
4. შეიძლება პროექტის დასაფინანსებლად გამოშვებულ ობლიგაციას მიენიჭოს მწვანე ობლიგაციის სტატუსი?
5. რა განსხვავებაა მწვანე ობლიგაციას, კლიმატის ობლიგაციას, გარემოსდაცვით ობლიგაციას, სოციალური ობლიგაციას, მდგრადი განვითარების ობლიგაციასა და გსმ (გარემოსდაცვითი, სოციალური, მართველობითი, (ESG)) ობლიგაციას შორის?
6. განიხილება თუ არა მწვანე ობლიგაციები აქტივების ცალკე კლასად?
7. როგორ განსაზღვროს ინვესტორმა არის თუ არა ობლიგაცია მწვანე, თუ ემიტენტი არ იყენებს მწვანე ობლიგაციის პრინციპებს?
8. შესაძლებელია, რომ მწვანე ობლიგაციების პრინციპების დაუცველობამ, მწვანე ობლიგაციის „დეფოლტი“ (“default”) გამოიწვიოს?

II ზოგადი

1. არის თუ არა მწვანე ობლიგაციის პრინციპები მარეგულირებელი წესები?
2. სჭირდება თუ არა ემიტენტს იმის დემონსტრირება რომ პროექტი მწვანე ობლიგაციის გამოშვების გარეშე არ იქნებოდა რეალიზებული?
3. რით განსხვავდება მოპ-ის მიერ განსაზღვრული მწვანე პროექტების კატეგორიები სხვა საჯაროდ მიღებული კლასიფიკაციისგან?
4. რა თანხვედრაშია მწვანე ობლიგაციის პრინციპები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ისეთ საერთაშორისო ინიციატივებთან, როგორცაა პარიზის ხელშეკრულება (Paris Agreement) ან მდგრადი განვითარების მიზნები (მდგ, Sustainable Development Goals)?

5. შეუძლია თუ არა მწვანე ობლიგაციის გამოშვება ისეთ ემიტენტს, რომელსაც დაბალი გსმ რეიტინგი აქვს, და კავშირშია საექვო საქმიანობასთან ან სექტორებთან და ტექნოლოგიებთან (როგორცაა წიაღისეული ან ბირთვული ენერჯია)?
6. შეუძლიათ კი კომპანიებს რომლებიც უშუალოდ გარემოსდაცვითი საქმიანობით არიან დაკავებულნი გამოუშვან მწვანე ობლიგაციები? არის თუ არა ასეთი კომპანიის მიერ გამოცემული ყველა ობლიგაცია მწვანე?
7. არის თუ არა გარე ექსპერტის შეფასება სავალდებულო?
8. რა განსხვავებაა სერტიფიცირებულ, ვერიფიცირებულ და რეიტინგის მქონე მწვანე ობლიგაციებს შორის?

III ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების მიზნობრივი გამოყენება

1. წარმოდგენილია თუ არა მწვანე ობლიგაციების პრინციპებში სტანდარტები, რომლითაც განისაზღვრება არის თუ არა ესა თუ ის პროექტი ან საქმიანობა მწვანე? არის თუ არა მოპ-ით განსაზღვრული კატეგორიები ამომწურავი?
2. საჭიროა თუ არა რომ ყველა მწვანე ობლიგაცია კლიმატთან იყოს დაკავშირებული?
3. შესაძლებელია თუ არა ნებისმიერი ზომის ჰიდროენერგეტიკული პროექტის მწვანე ობლიგაციებით დაფინანსება, მიუხედავად ამ პროექტის ზომისა?
4. შეიძლება თუ არა პროექტი დაფინანსდეს მწვანე ობლიგაციით, თუ ის ემსახურება ენერგოეფექტურობის ზრდას ისეთ სექტორში როგორცაა წიაღისეული საწვავის წარმოება ან სხვა ინდუსტრიული საქმიანობები, რომელიც საწვავის წარმოებასთან არის კავშირში?
5. როგორ უნდა უზრუნველყონ ემიტენტებმა რეფინანსირებული პროექტების ხანგრძლივობის საკითხის გამჭირვალობა?
6. შესაძლოა თუ არა, რომ არამატერიალური აქტივები (როგორცაა განათლება, მონიტორინგი, კვლევა და განვითარება (R&D), საგადასახადო შეღავათი) ან დანახარჯები მწვანე ობლიგაციებით დაფინანსდეს? როგორ განსაზღვროს ინვესტორმა აქვს თუ არა ამის უფლება?

IV სოციალური და მდგრადი განვითარების ბონდები

1. შეუძლია თუ არა ემიტენტს თავისუფლად აარჩიოს თუ რა დანიშნულების იქნება ობლიგაცია, მწვანე, სოციალური თუ მდგრადი განვითარების, თუკი ამ ობლიგაციით ხდება ისეთი პროექტის დაფინანსება, რომელსაც გააჩნია როგორც გარემოსდაცვითი, ასევე სოციალური სარგებელი, მაგალითად როგორცაა მდგრადი სოციალური საცხოვრისის მშენებლობა, მდგრადი სახალხო ტრანსპორტი და წვდომა სუფთა წყალზე?
2. შეიძლება თუ არა ემიტენტმა გამოუშვას მწვანე, სოციალური ან მდგრადი განვითარების ობლიგაცია, რომლიდანაც მიღებული შემოსავლები მთლიანად არ მოხმარდება მწვანე და/ან სოციალურ პროექტებს?
3. არის თუ არა რაიმე განსხვავება სოციალურ და სოციალური გავლენის (social impact) ობლიგაციას შორის?



V მწვანე და სოციალური ობლიგაციის პრინციპების საზოგადოებაში გაწვევრიანება

1. როგორ უნდა გავხდეთ მოკ-ისა და სოკ-ის წევრი ან დამკვირვებელი და ჩავეხება მათთან აქტიურ დიალოგში?
2. როგორ ირჩევენ აღმასრულებელ კომიტეტს?
3. რომელი სამუშაო ჯგუფები არსებობს და როგორ შეიძლება ჩავეერთო?

პასუხისმგებლობის შეზღუდვის განაცხადი

ეს დოკუმენტი მომზადდა მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციების შესახებ ინფორმაციის მოსაწოდებლად. ის არ წარმოადგენს მოკ-ის, სოკ-ის და მდგრადი განვითარების ობლიგაციების გზამკვლევის შემცველს. მოკ-ის, სოკ-ისა და მოგ-ის ფარგლებში რჩევებისა და რეკომენდაციების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, მიმართეთ ამ დოკუმენტების უახლეს გამოქვეყნებულ პუბლიკაციას. ტერმინები, რომელიც განმარტებულია სოკ-ში, მოკ-სა და მოგ-ში იგივე მნიშვნელობითაა გამოყენებული ამ დოკუმენტშიც.

კითხვები და პასუხები

I მწვანე ობლიგაციები

1. არსებობს თუ არა მწვანე ობლიგაციის განმარტება?

მწვანე ობლიგაციის პრინციპების (მოპ) თანახმად, მწვანე ობლიგაციად მიიჩნევა ისეთი ობლიგაცია, რომლიდანაც მიღებული შემოსავლები ექსკლუზიურად გამოიყენება ახალი ან/და არსებული ისეთი მწვანე პროექტების ნაწილობრივ ან სრულად დასაფინანსებლად ან რეფინანსირებისთვის, რომელთაც ცხადი გარემოსდაცვითი სარგებელი გააჩნიათ (იხილეთ მოპ, თავი 1 - შემოსავლების გამოყენება) და შესაბამისობაშია მოპ-ის ოთხ ძირითად კომპონენტთან.

2. არსებობს თუ არა ყველა გამოშვებული მწვანე ობლიგაციის ოფიციალური სია?

მწვანე ბონდის პრინციპები (მოპ) რესურსების ცენტრის (Resource Centre) ვებგვერდზე აქვეყნებს არასრულყოფილ სიას იმ ემიტენტებისა, რომლებმაც გაასაჯაროეს დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში და შეავსეს საბაზრო ინფორმაციის შაბლონი, რომელიც საშუალებას აძლევს მწვანე ობლიგაციის გამომშვებს საჯაროდ დაადასტუროს მისი ობლიგაციის შესაბამისობა მწვანე ობლიგაციის პრინციპებთან. გარდა ამისა, არსებობს სხვადასხვა სიები, მონაცემთა ბაზები და ინდიკატორები, რომელსაც ბირჟები, საბაზრო ინფორმაციის ანალიტიკოსები, კლიმატის ობლიგაციის ინიციატივის (Climate Bond Initiative) საერთაშორისო ორგანიზაცია ან დამოუკიდებელი ექსპერტები გვთავაზობენ საკუთარ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მწვანე ობლიგაციის პრინციპების მონაცემთა ბაზასა და ინდექსებზე მომუშავე ჯგუფმა ასევე გამოაქვეყნა მწვანე ობლიგაციების მონაცემთა ბაზასა და ინდექსებზე მომუშავეთა შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც ხელმისაწვდომია მოპ-ის რესურსების ცენტრის ვებგვერდზე.

3. რა უპირატესობები გააჩნია მწვანე ბონდის ემისიას?

მწვანე ობლიგაციის გამოშვებით, ემიტენტები გამოხატავენ თავიანთ ვალდებულებას გადაწყვიტონ მწვანე და ეკოლოგიური პრობლემები ისეთი პროექტების დაფინანსებით, რომელთაც გააჩნიათ ცხადად გამოხატული გარემოსდაცვითი სარგებელი. ამ გზით ემიტენტები ასევე ახდენენ ინვესტორთა ბაზის დივერსიფიკაციას, რომელიც თავის მხრივ, განაპირობებს მოთხოვნის პოტენციურ ზრდას და სხვა მასთან დაკავშირებულ სარგებელს.

4. შეიძლება პროექტის დასაფინანსებლად გამოშვებულ ობლიგაციას მიენიჭოს მწვანე ობლიგაციის სტატუსი?

დიახ, თუ ეს ობლიგაცია კვალიფიცირდება როგორც მწვანე და აკმაყოფილებს მწვანე ობლიგაციის პრინციპების ოთხ ძირითად კომპონენტს.



5. რა განსხვავებაა მწვანე ობლიგაციას, კლიმატის ობლიგაციას, გარემოსდაცვით ობლიგაციას, სოციალური ობლიგაციას, მდგრადი განვითარების ობლიგაციასა და გსმ (გარემოსდაცვითი, სოციალური, მართველობითი, (ESG)) ობლიგაციას შორის?

მწვანე ობლიგაციის პრინციპების თანახმად, მწვანე ობლიგაციები თავის თავში აერთიანებენ კლიმატისა და გარემოსდაცვით ობლიგაციებს, იმ შემთხვევაში თუ ისინი შესაბამისობაში არიან მწვანე ობლიგაციის პრინციპების ოთხ ძირითად კომპონენტთან. სოციალური ობლიგაციის პრინციპებში მოცემულია სოციალური ობლიგაციის განმარტება, ხოლო მდგრადი განვითარების ობლიგაციის განმარტება წარმოდგენილია მდგრადი განვითარების ობლიგაციების გზამკვლევაში. მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციებს გააჩნიათ შემდეგი საერთო მახასიათებლები: ამ ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავლების გამოყენების არეალი წინასწარ არის განსაზღვრული და ისინი ნებაყოფლობით თანხვედრაში არიან გარკვეულ საერთო კრიტერიუმებთან. სასურველია ემიტენტმა ობლიგაციის ემისია განიხილოს მწვანე, სოციალური ან მდგრადი განვითარების ობლიგაციის ჭრილში, თუ ობლიგაციის ემისია შეიძლება მოხდეს მწვანე ან სოციალური ობლიგაციების პრინციპებთან შესაბამისობაში. გსმ ობლიგაციაში ასევე ინტეგრირებულია მართველობითი კომპონენტი, რომელიც არ არის წარმოდგენილი მწვანე და სოციალური ობლიგაციის პრინციპებსა და მდგრადი ობლიგაციების გზამკვლევაში. გსმ ობლიგაციის შემთხვევაში კონკრეტული მიმართულებით შემოსავლების გამოყენების ნაცვლად მითითება შეიძლება იყოს გაკეთებული იმის თაობაზე თუ ზოგადად ემიტენტი როგორ აკმაყოფილებს მდგრადი განვითარების კრიტერიუმებს.

6. განიხილება თუ არა მწვანე ობლიგაციები აქტივების ცალკე კლასად?

რადგანაც მწვანე ობლიგაციის რისკთან და შემოსავლებთან დაკავშირებული ზოგადი მახასიათებლები არ განსხვავდება არა-მწვანე ობლიგაციის ანალოგიური მახასიათებლებისაგან, მწვანე ობლიგაციები ვერ აკმაყოფილებენ ყველა იმ კრიტერიუმს რომელიც საჭიროა დამოუკიდებელ აქტივების კლასად დასაკვალიფიცირებლად. თუმცა, ზოგიერთი ინვესტორი არ ეთანხმება ამ შეხედულებას; ინვესტორთა მზარდი რაოდენობა ცდილობს ისე გადაანაწილოს თავიანთი ინვესტიციები რომ მასში რაც შეიძლება მეტი წილი ჰქონდეს მწვანე ობლიგაციებს, იმ იმედით რომ ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ გარემოსდაცვით საქმიანობაში.

7. როგორ განსაზღვროს ინვესტორმა არის თუ არა ობლიგაცია მწვანე, თუ ემიტენტი არ იყენებს მწვანე ობლიგაციის პრინციპებს?

მწვანე ობლიგაციის პრინციპებთან შესაბამისობის ჩვენება დამოკიდებულია ემიტენტის სურვილზე. ცალკეული ფინანსური ანალიტიკოსები და ინდექსები, როგორცაა Bloomberg და MSCI, უფრო ფართო და ურთიერთ-შემავსებელ განმარტებებს გვთავაზობენ, რომელთა ბმულების ნახვა მოკ-ის რესურსების ცენტრის ვებგვერდზეა შესაძლებელი.

8. შესაძლებელია, რომ მწვანე ობლიგაციების პრინციპების დაუცველობამ, მწვანე ობლიგაციის „დეფოლტი“ (“default”) გამოიწვიოს?

მწვანე ობლიგაციის პრინციპებთან შესაბამისობა ნებაყოფლობითია. თუმცა ემიტენტმა თავის ანგარიშში უნდა აჩვენოს რჩევა თუ არა ობლიგაცია მოკ-თან შესაბამისობაში. იმ შემთხვევაში, თუკი



ემიტენტი არ ასრულებს გარემოსდაცვით ვალდებულებებს და არ შეესაბამება მოკ-ს, იგი მნიშვნელოვანი რეპუტაციული რისკის წინაშე დგას.

II ზოგადი

1. არის თუ არა მწვანე ობლიგაციის პრინციპები მარეგულირებელი ორგანო?

არა, მწვანე ობლიგაციის პრინციპები არის ნებაყოფლობითი და არა სავალდებულო. აღმასრულებელი კომიტეტი მწვანე ობლიგაციების პრინციპებს ყოველწლიურად აახლებს მოკ-ის წევრებისა და დამკვირვებლების კონსულტაციებზე დაყრდნობით. აღმასრულებელი კომიტეტი შედგება ბაზრის 24 მონაწილისაგან, რომელსაც მოკ-ის წევრები ირჩევენ.

2. სჭირდება თუ არა ემიტენტს იმის დემონსტრირება რომ პროექტი მწვანე ობლიგაციის გამოშვების გარეშე არ იქნებოდა რეალიზებული?

არა. მწვანე ობლიგაციების ბაზრის მიზანია დააფინანსოს ან რეფინანსირება მოახდინოს ისეთი პროექტების, რომლებიც ხელს შეუწყობენ გარემოსდაცვით მდგრად განვითარებას, იმის და მიუხედავად აქვთ თუ არა ამ პროექტებს დაფინანსების ალტერნატიული წყაროები.

3. რით განსხვავდება მოკ-ის მიერ განსაზღვრული მწვანე პროექტების კატეგორიები სხვა საჯაროდ მიღებული კლასიფიკაციისგან?

მოკ-ში წარმოდგენილია პროექტების ზოგადი კატეგორიები. ამ კატეგორიებს გავრცობა შესაძლებელია უფრო დეტალური კლასიფიკაციით, რომელსაც აქვეყნებენ მაგალითად კლიმატის ობლიგაციების ინიციატივა და საერთაშორისო განვითარების ბანკები. ამ კლასიფიკაციის ბმულების ნახვა შესაძლებელია რესურსების ცენტრის ვებგვერდზე.

4. რა თანხვედრაშია მწვანე ობლიგაციის პრინციპები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ისეთ საერთაშორისო ინიციატივებთან, როგორცაა პარიზის ხელშეკრულება (Paris Agreement) ან მდგრადი განვითარების მიზნები (მდგ, Sustainable Development Goals)?

მოკ-ი კერძო სექტორის მიერ შემუშავებული ნებაყოფლობითი გზამკვლევა, რომელიც მწვანე ობლიგაციების ბაზარზე გამჭირვალობისა და საჯაროობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას ემსახურება. პარიზის ხელშეკრულება არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით შექმნილი საერთაშორისო კონვენცია. მდგ კი გაეროს მდგრადი განვითარების განაწესის ნაწილია. მიუხედავად იმისა რომ მწვანე ობლიგაციების პრინციპები თანხვედრაშია ზემოთ აღნიშნული ინიციატივების მიზნებთან, იგი მაინც რჩება განცალკავებულ და დამოუკიდებელ, ბაზრის მონაწილეებიდან წამოსულ ინიციატივად. მწვანე ობლიგაციის პრინციპების კონკრეტული კატეგორიები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ჩარევებს მოიცავენ, თუმცა მოკ-ი ასევე მოიცავს უფრო ფართო გარემოსდაცვით პროექტებს. როგორც წესი, მწვანე ობლიგაციები გამოიყენება იმ პროექტების დასაფინანსებლად, რომელიც ხორციელდება იმ მიზნით რომ დააკმაყოფილოს „ეროვნულად განსაზღვრული წვლილისა“ (Nationally Determined Contributions) და “მდგრადი განვითარების მიზნების” მოთხოვნები (Sustainable

Development Goals). თუმცა, მწვანე და სოციალური ობლიგაციის პრინციპების ამჟამად არსებული პროექტების კატეგორიები სრულად არ მოიცავს მდგრადი განვითარების ჩვიდმეტივე მიზანს.

5. შეუძლია თუ არა მწვანე ობლიგაციის გამოშვება ისეთ ემიტენტს, რომელსაც დაბალი გსმ რეიტინგი აქვს, და კავშირშია საექვო საქმიანობასთან ან სექტორებთან და ტექნოლოგიებთან (როგორცაა წიაღისეული ან ბირთვული ენერჯია)?

მწვანე ობლიგაცია ყურადღებას ამახვილებს უშუალოდ პროექტზე და არა ობლიგაციის ემიტენტზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ მოპ-ი რეკომენდაციას უწევს ემიტენტებს ცხადად გააცნონ ინვესტორებს თავიანთი გარემოსდაცვითი საქმიანობის ზოგადი მიზნები და თუ როგორ აპირებენ პოტენციური სოციალური და გარემოსდაცვითი რისკების გამოვლენას და მართვას კონკრეტული პროექტების ფარგლებში. ბევრი ინვესტორი ასევე აქცევს ყურადღებას ემიტენტის პროფილს და ითვალისწინებს ემიტენტის ზოგადი პროფილის ხარისხს და მდგრადი გარემოსდაცვითი კუთხით საქმიანობას. ისეთი საექვო საქმიანობის შემთხვევაში, როგორცაა საწვავისა და წიაღისეულის მოპოვება, ბირთვული ენერჯიის წარმოება და ა.შ. ან კიდევ მდგრად განვითარებაზე ზრუნვის მწირი ისტორიის შემთხვევაში ინვესტორებმა, ბირჟებმა, ანალიტიკოსებმა და ბაზრის სხვა მონაწილეებმა შეიძლება მოითხოვონ დამატებითი გამჭვირვალობა ემიტენტისაგან. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით იმის დემონსტრირება იქნება აუცილებელი თუ რამდენად მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარება მათი ბიზნესისთვის და რა სარგებელი მოაქვს ასეთ საქმიანობაზე გადასვლით მოცემულ პროექტს.

6. შეუძლიათ კი კომპანიებს რომლებიც უშუალოდ გარემოსდაცვითი საქმიანობით არიან დაკავებული გამოუშვან მწვანე ობლიგაციები? არის თუ არა ასეთი კომპანიის მიერ გამოცემული ყველა ობლიგაცია მწვანე?

იმ კომპანიების მიერ გამოშვებული ობლიგაციები, რომელთა საქმიანობა ექსკლუზიურად დაკავშირებულია მწვანე ეკონომიკასთან, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება მწვანე ობლიგაციებად თუ ისინი შესაბამისობაშია მოპ-თან (იხილეთ ზემოთ წარმოდგენილი მწვანე ობლიგაციის განმარტება). თუმცა, მოპ-ი ამასთანავე აღიარებს იმ გარემოებას, რომ შეიძლება არსებობდეს კლიმატისა და გარემოსდაცვითი თემატიკის ობლიგაციების უფრო ფართო სპექტრი, რომელშიც ასეთი კომპანიების მიერ გამოშვებული ობლიგაციები მოხვდება (მაშინაც კი თუ ისინი ცალსახად არ აკმაყოფილებენ მწვანე ობლიგაციის პრინციპებს).

7. არის თუ არა გარე ექსპერტის შეფასება სავალდებულო?

მოპ-ი რეკომენდაციას უწევს ემიტენტებს გამოიყენონ დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება, მათ მიერ გამოშვებული მწვანე ობლიგაციის მოპ-თან შესაბამისობის დასადასტურებლად. დამატებით, ინვესტორებიც ასევე მიესალმებიან დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ გაცემულ შეხედულებებს, ვერიფიკაციას და ატესტაციას.

8. რა განსხვავებაა სერტიფიცირებულ, ვერიფიცირებულ და რეიტინგის მქონე მწვანე ობლიგაციებს შორის?

მწვანე ობლიგაციის დამოუკიდებელი შეფასების სხვადასხვა მიდგომა არსებობს. ყველაზე ფართოდ გავრცელებული მიდგომები ჩამოთვლილია მოპ-ისა და სოპ-ის დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასების



თავებში. ანალიტიკოსები და შემფასებლები მიზნობრიობიდან გამომდინარე სხვადასხვა მიდგომასა და სხვადასხვა შეფასების სიზუსტეს იყენებენ. მისასაღმებელია თუ დამოუკიდებელი ექსპერტები აღწერენ თავიანთ შეფასებას და შეავსებენ რესურსების ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულ შაბლონს რათა აღწერონ თავიანთი მიდგომა.

III ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების მიზნობრივი გამოყენება

1. წარმოდგენილია თუ არა მწვანე ობლიგაციების პრინციპებში სტანდარტები, რომლითაც განისაზღვრება არის თუ არა ესა თუ ის პროექტი ან საქმიანობა მწვანე? არის თუ არა მოპ-ით განსაზღვრული კატეგორიები ამომწურავი?

მოპ-ი მწვანე ობლიგაციების მხოლოდ ზოგად კატეგორიებს გამოყოფს, თუმცა რეკომენდაციას უწევს ემიტენტებს ობლიგაციის ემისიის შემთხვევაში მიუთითონ არსებული სტანდარტები და კლასიფიკაციები (როგორცაა შესაბამისი დასახელებები ან ზოგიერთი სექტორისთვის აკრედიტაციები) და/ან შეიმუშაონ საკუთარი სტანდარტები. პროექტი შეიძლება ერთდროულად რამდენიმე კატეგორიას აკმაყოფილებდეს ან ისეთ კატეგორიაში ვარდებოდეს რომელიც ცალსახად გამოყოფილი არ არის მოპ-ის მიერ.

2. საჭიროა თუ არა რომ ყველა მწვანე ობლიგაცია კლიმატთან იყოს დაკავშირებული?

არა. მოპ-ი მოიცავს გარემოსდაცვითი საქმიანობის ოთხ ძირითად მიმართულებას: კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი რესურსების ამოწურვა, ბიომრავალფეროვნების შემცირება და წყლის, ნიადაგისა და ჰაერის დაზინძურება. ნებისმიერი პროექტი რომელსაც ზემოთ აღნიშნული რომელიმე მიმართულებით გააჩნია ცხადად გამოხატული გარემოსდაცვითი სარგებელი შეიძლება დაფინანსებული იქნას მწვანე ობლიგაციებით.

3. შესაძლებელია თუ არა ნებისმიერი ჰიდროენერგეტიკული პროექტის მწვანე ობლიგაციებით დაფინანსება, განურჩევლად პროექტის მასშტაბისა?

მოპ-ის თანახმად ნებისმიერი განახლებადი ენერჯის პროექტი, მათ შორის ჰიდროენერგეტიკული პროექტიც, შეიძლება დაფინანსდეს მწვანე ობლიგაციის ემისიით, მიუხედავად ამ პროექტის მასშტაბისა. გარდა ამისა, მოპ-ი რეკომენდაციას უწევს ემიტენტებს ცხადად გააცნონ ინვესტორებს თავიანთი საქმიანობის გარემოსდაცვითი მიზნები და თუ როგორ აპირებენ პოტენციური სოციალური და გარემოსდაცვითი რისკების გამოვლენას და მართვას იმ პროექტების ფარგლებში რომელთა დაფინანსება მწვანე ობლიგაციების გამოშვებით იგეგმება. ასევე რეკომენდირებულია ემიტენტმა გამოიყენეს გარე ექსპერტის ანალიზი, რათა მიიღოს რჩევები დასაფინანსებელი პროექტის გარემოსდაცვითი მდგრადობისა და გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ინვესტორები, საფონდო ბირჟები, ინდექსების შემმუშავებლები და ბაზრის სხვა მონაწილეები მწვანე ობლიგაციებს განიხილავენ საკუთარი გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და საინვესტიციო კრიტერიუმების კონტექსტში, რომელიც უფრო ფართო გსმ (ESG) მოთხოვნებს მოიცავს.

4. შეიძლება თუ არა პროექტი დაფინანსდეს მწვანე ობლიგაციით, თუ ის ემსახურება ენერგოეფექტურობის ზრდას ისეთ სექტორში როგორცაა წიაღისეული საწვავის წარმოება ან სხვა ინდუსტრიული საქმიანობები, რომელიც საწვავის წარმოებასთან არის კავშირში?

პოტენციურად ეს შესაძლებელია, თუკი ასეთი პროექტის დასაფინანსებლად გამოშვებული ობლიგაცია შესაბამისობაში მოდის მოპ-ის ოთხ ძირითად პრინციპთან. მოპ-ი რეკომენდაციას უწევს ემიტენტებს ცხადად გააცნონ ინვესტორებს თავიანთი საქმიანობის გარემოსდაცვითი მიზნები და თუ როგორ აპირებენ მოცემული პროექტის ფარგლებში პოტენციური სოციალური და გარემოსდაცვითი რისკების გამოვლენას და მართვას. ასევე რეკომენდირებულია ემიტენტმა გამოიყენოს გარე ექსპერტის ანალიზი, რათა მიიღოს რჩევები დასაფინანსებელი პროექტის გარემოსდაცვითი მდგრადობისა და გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ინვესტორები, საფონდო ბირჟები, ინდექსების შემმუშავებლები და ბაზრის სხვა მონაწილეები მწვანე ობლიგაციებს განიხილავენ საკუთარი გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და საინვესტიციო კრიტერიუმების კონტექსტში, რომელიც შესაძლოა ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების უფრო მკაცრ სტანდარტებსა და უფრო ფართო გსმ (ESG) მოთხოვნებს მოიცავდეს. ბაზრის ზოგიერთი მონაწილეები და დაინტერესებული მხარეები გამორიცხავენ წიაღისეული საწვავის წარმოებასთან დაკავშირებულ პროექტებს მწვანე დაფინანსებიდან, მაშინ როცა სხვები მსგავს ენერგოეფექტურ ინვესტიციებს მწვანე დაფინანსებას მიაკუთვნებენ, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ ეს ინვესტიციები ხელს არ უწყობენ გრძელვადიან მიჯაჭვულობას ნახშიროჟანგ-ინტერნსიური ინფრასტრუქტურისადმი. მრავალმა ორგანიზაციამ, მათ შორის მრავალმხრივი განვითარების ბანკებმა, ფინანსური განვითარების ინსტიტუტებმა და კლიმატის ობლიგაციის ინიციატივამ შეიმუშავეს წიაღისეული საწვავის სექტორში ენერგოეფექტურობის სტანდარტები. სასურველია ბაზრის მონაწილეებმა სწორედ ამ სტანდარტებზე გააკეთონ მითითება.

5. როგორ უნდა უზრუნველყონ ემიტენტებმა რეფინანსირებული პროექტების ხანგრძლივობის საკითხის გამჭირვალობა?

მოპ-ი რეკომენდაციას უწევს ემიტენტებს დააზუსტონ თუ რომელი პროექტები იქნება რეფინანსირებული და საჭიროებისამებრ ახსნან გასაანალიზებელი პერიოდი (ე.წ. გასული წლების რაოდენობა რომლის მიმართაც ემიტენტი ჩაატარებს რეტროსპექტულ ანალიზს) რეფინანსირებული პროექტებისათვის.

6. შესაძლოა თუ არა, რომ არამატერიალური აქტივები (როგორცაა განათლება, მონიტორინგი, კვლევა და განვითარება (R&D), საგადასახადო შეღავათი) ან დანახარჯები მწვანე ობლიგაციებით დაფინანსდეს? როგორ განსაზღვროს ინვესტორმა აქვს თუ არა ამის უფლება?

მწვანე ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავლები შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი ხარჯების დასაფინანსებლად ან რეფინანსირებისთვის რომელიც დაკავშირებულია ან ხელს უწყობს მწვანე პროექტებს, და გააჩნიათ ცხადი გარემოსდაცვითი სარგებელი. მოპ-ის რეკომენდაცია, ემიტენტმა გამოიყენოს გარე ექსპერტის შეფასება, რათა გაუადვილოს ინვესტორს შეაფასოს ობლიგაციის შესაბამისობა მოპ-ის ოთხ ძირითად კომპონენტთან, მათ შორის ამ ობლიგაციით დასაფინანსებელი პროექტების გარემოსდაცვითი სარგებელი.

IV სოციალური და მდგრადი განვითარების ბონდები

1. შეუძლია თუ არა ემიტენტს თავისუფლად აარჩიოს თუ რა დანიშნულების იქნება ობლიგაცია, მწვანე, სოციალური თუ მდგრადი განვითარების, თუკი ამ ობლიგაციით ხდება ისეთი პროექტის დაფინანსება, რომელსაც გააჩნია როგორც გარემოსდაცვითი, ასევე სოციალური სარგებელი, მაგალითად როგორცაა მდგრადი სოციალური საცხოვრისის მშენებლობა, მდგრადი სახალხო ტრანსპორტი და წვდომა სუფთა წყალზე?

დიახ (თუ ობლიგაცია შესაბამისობაშია მოპ-ის ან სოპ-ის ოთხ ძირითად კომპონენტთან). ემიტენტმა უნდა განსაზღვროს ობლიგაციის დანიშნულება, ამ ობლიგაციით დაფინანსებული პროექტის პრიორიტეტული მიზნებიდან გამომდინარე. თუკი ემიტენტის მთავარ სამიზნეს პროექტის გარემოსდაცვითი მიზნები წარმოადგენს, მაშინ პროექტს უნდა მიენიჭოს მწვანე სტატუსი. ხოლო თუ ემიტენტის მთავარ სამიზნეს პროექტის სოციალური მიზნები წარმოადგენს, მაშინ პროექტს უნდა მიენიჭოს სოციალური სტატუსი. მდგრადი განვითარების ობლიგაციების გზამკვლევი შეიქმნა ისეთი ობლიგაციებისთვის, რომელიც ერთდროულად მოიცავს სოციალურ და გარემოსდაცვით პროექტებს. გამოშვებისას ობლიგაცია უნდა მიეკუთვნოს ზემოთ განხილული სამი კატეგორიიდან ერთ-ერთს. ემიტენტმა თავი უნდა შეიკავოს ერთი და იგივე ტრანზაქციისთვის სხვადასხვა დანიშნულების მინიჭებისაგან, მიუხედავად იმისა რომ ზოგიერთ მწვანე პროექტს შეიძლება სოციალური სარგებელიც ჰქონდეს, ხოლო სოციალური პროექტი კი გარემოსდაცვითი სარგებლის მომტანიც იყოს.

2. შეიძლება თუ არა ემიტენტმა გამოუშვას მწვანე, სოციალური ან მდგრადი განვითარების ობლიგაცია, რომელიდანაც მიღებული შემოსავლები მთლიანად არ მოხმარდება მწვანე და/ან სოციალურ პროექტებს?

არა. მწვანე, სოციალური ან მდგრადი ობლიგაციიდან მიღებულის შემოსავლების 100% უნდა მოხმარდეს მწვანე და სოციალურ პროექტებს. რადგან პროექტის ფარგლებში განხორციელებული ხარჯები ზოგჯერ დროში იწელება, შეიძლება არსებობდეს ობლიგაციიდან მიღებული დროებით გაუნაწილებელი შემოსავლები. ამ შემთხვევაში ემიტენტმა ნათლად უნდა ახსნას სად იქნება ან აქვს ეს გაუნაწილებელი შემოსავლები დროებით ინვესტირებული.

3. არის თუ არა რაიმე განსხვავება სოციალურ და სოციალური გავლენის (social impact) ობლიგაციას შორის?

სოციალური გავლენის ობლიგაციები, რომელსაც ხშირად შედეგის-მიხედვით-გადახდის ინსტრუმენტსაც უწოდებენ, გულისხმობენ საზოგადოებრივ-კერძო პარტნიორობას, რომელშიც ფულადი ნაკადების გადარიცხვები დამოკიდებულია წინასწარ განსაზღვრულ არაფინანსურ მაჩვენებლებზე და ამავე დროს ასეთ ობლიგაციებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ ობლიგაციის ტიპური მახასიათებლები. ამისგან განსხვავებით, სოციალური ობლიგაციები არის ნებისმიერი სახის ობლიგაცია, რომლიდანაც მიღებული შემოსავლები ექსკლუზიურად გამოიყენება ახალი ან/და არსებული ისეთი პროექტების ნაწილობრივ ან სრულად დასაფინანსებლად ან რეფინანსირებისთვის,



რომელთაც დადებითი სოციალური სარგებელი გააჩნიათ და შესაბამისობაშია სოციალური ბონდის პრინციპების ოთხ ძირითად კომპონენტთან.

V მწვანე და სოციალური ობლიგაციის პრინციპების საზოგადოებაში გაწევრიანება

1. როგორ უნდა გავხდეთ მოკ-ისა და სოკ-ის წევრი ან დამკვირვებელი და ჩავება მათთან აქტიურ დიალოგში?

ორგანიზაციებს, რომლებიც ჩართულნი არიან მწვანე, სოციალური და მდგრადი ობლიგაციების ბაზარზე ან უფრო ზოგადად მწვანე და სოციალურ დაფინანსებაში, შეუძლიათ განაცხადი შეიტანონ მოკ-ის წევრობაზე ან დამკვირვებლობაზე. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ შემდეგი ვებგვერდი: <https://www.icmagroup.org/green-social-and-sustainability-bonds/membership/>

2. როგორ ირჩევენ აღმასრულებელ კომიტეტს?

აღმასრულებელი კომიტეტი შედგება 24 ორგანიზაციისგან, სადაც წილები თანაბრად არის გადანაწილებული ინვესტორებს, ემიტენტებსა და ანდერრაიტერებს შორის, 8-8 წარმომადგენელით თითოეული კატეგორიიდან. ყოველ წლიურად ხდება აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა ნახევრის ახალი წევრებით ჩანაცვლება წევრების ხმის მიცემის საფუძველზე დადგენილი მმართველობითი წესით.

3. რომელი სამუშაო ჯგუფები არსებობს და როგორ შეიძლება ჩავერთო?

ამჟამად არსებობს ოთხი სამუშაო ჯგუფი (მწვანე პროექტები, ზეგავლენის აღწერა, ინდექსები და მონაცემთა ბაზები და სოციალური ობლიგაციები). წევრებს, დამკვირვებლებს, და ბაზარზე არსებულ სხვა დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ჩაერთონ ამ პროცესებში, შეუძლიათ დაუკავშირდნენ შესაბამის სეკრეტარიატს შემდეგ ელ-ფოსტაზე: Greenbonds@icmagroup.org.

პასუხისმგებლობის შეზღუდვის განაცხადი

ეს დოკუმენტი მომზადდა მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციების შესახებ ინფორმაციის მოსაწოდებლად. ის არ წარმოადგენს მოკ-ის, სოკ-ის და მდგრადი განვითარების ობლიგაციების გზამკვლევის შემცველს. მოკ-ის, სოკ-ისა და მოგ-ის ფარგლებში რჩევებისა და რეკომენდაციების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, მიმართეთ ამ დოკუმენტების უახლეს გამოქვეყნებულ პუბლიკაციას. ტერმინები, რომელიც განმარტებულია სოკ-ში, მოკ-სა და მოგ-ში იგივე მნიშვნელობითაა გამოყენებული ამ დოკუმენტშიც.